

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №20

ქ. თბილისი

21.08.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

კონსტანტინე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

ლალი ლოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი (სხდომის თავმჯდომარე).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

თამარ შუღრა - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

გიორგი ელისაბედაშვილი - მონიტორინგის სამსახურის უფროსი;

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ზვიად ხაჭაპურიძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „ეტალონის“ დირექტორი;

2. ნანა გელაშვილი - შპს - ნანას დირექტორი;

3. ჟუჟუნა მუმლაძე - შპს - ხიხანი - მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის დირექტორი;

4. აკაკი დუმბაძე - შპს - ხიხანი - მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის დამფუძნებელი;

5. თეონა ხუფენია - ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;

6. სოლომონ პავლიაშვილი - შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;

7. კონსტანტინე გაზიდანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;

8. ლევან ქაჯაია - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;

9. კონსტანტინე დოლიძე - ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ - პრესტიჟის დირექტორი;

დ. კახნიაშვილი

10. იოსებ მათიაშვილი - შპს "ილია"-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი;
11. თამარ აბულაშვილი - შპს "ილია"-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულების დამფუძნებელი;
12. ილია მათიაშვილი - შპს "ილია"-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულების დამფუძნებელი;
13. ირმა ამირანაშვილი - შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის დირექტორის მოადგილე;
14. აბდულ რაჰმან კოჩა - შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

მიხეილ ტეფნაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
თამარ გვიანიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნელი ნასყიდაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნინო ფეტვიაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნინო ბალანჩივაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
მაკა კაჭარავა - ავტორიზაციის ექსპერტი;
მარიამ ხუციშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნანა ბარნაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ სხდომის თავმჯდომარედ აირჩია დავით კახნიაშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:45 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „ეტალონში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს - ნანას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ხიხანი - მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის

განხილვა;

4. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
8. შპს - ორიენტირისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი - პრესტიჟისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
10. შპს "ილია"-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ, აღნიშნა, რომ ცენტრში შემოსული იყო ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ - პრესტიჟისა და შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის წერილობით განცხადებები. ნანა ჭილაძის განცხადებით ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ითხოვდა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტას, ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი - პრესტიჟი საკითხის განხილვის გადადებას დასკვნის გვიან გაცნობის გამო, ხოლო შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი მისი ავტორიზაციის საკითხის განხილვის დამატებას დღის წესრიგში. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებული პრობლემები უკვე აღარ არსებობდა. საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „ეტალონში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს - ნანას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ხიხანი - მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;

7. შპს - ორიენტირისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;

8. შპს "ილია"-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა.

9. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

1. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც განაცხადა, რომ ცენტრში შემოვიდა დაწესებულების კორესპონდენცია და წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის, ნანა ჭილაძის, განცხადებით, რომ აღნიშნული დადასტურდა მონიტორინგის სამსახურის ოფიციალური კორესპონდენციითაც.

საბჭომ განიხილა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „ეტალონში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს - ნანას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ.

1. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

1.1 ექსპერტთა ვიზიტის დროს დაფიქსირდა ფართთან დაკავშირებული პრობლემები, თუმცა 2012 წლის 20 აგვისტოს ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი №81.07.11.412) დაწესებულება ფლობს შენობა-ნაგებობებს №1, №2, №3, №4 ჯამში 150 კვ.მ-ს.

1.2 სკოლას ნებართვა აქვს მიღებული გარდაბნის მუნიციპალიტეტისაგან, ისარგებლოს სკოლასთან ახლოს მდებარე სტადიონით.

1.3 ბიბლიოთეკაში არ არის მკითხველთა ბარათები.

1.4 დაწესებულებაში არის უსაფრთხოების ხუთი კამერა (ოთხი გარე პერიმეტრის და ერთი შიდა პერიმეტრის კონტროლისათვის). გარე პერიმეტრის კამერები განთავსებულია შენობის ოთხივე კუთხეში და აკონტროლებს შენობის ორივე შესასვლელს (მათ შორის ერთი სათადარიგოა). ზემოაღნიშნული ხუთი უსაფრთხოების კამერიდან, შენობის ძირითად შესასვლელის მაკონტროლებელი კამერა აკმაყოფილებს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

დავით კახიაშვილის განცხადებით, რადგან ფართთან დაკავშირებული პრობლემა მოგვარებული იყო, საბჭოს ხსნიდა აღნიშნულ ხარვეზს.

თავმჯდომარემ დააზუსტა კამერებთან დაკავშირებული ხარვეზის არსი.

თამარ შუდრას განცხადებით, გარე პერიმეტრი სრულიად კონტროლდებოდა, მხოლოდ, ერთი კამერის მეშვეობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანა ჯერ არ მომხდარა, შესაბამისად, სკოლაში არ იყო მკითხველთა ბარათები, თუმცა

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში გაწერილი იყო, მკითხველთა ბარათების წარმოების აუცილებლობა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 50-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ შპს - ნანა მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით შეეძლო 49 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - ნანას ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ნანას ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ნანას (საიდენტიფიკაციო კოდი: 226527283) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 49-ით.

3. შპს - ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით

1.1 დაწესებულების მიერ არ იქნა წარმოდგენილი 2012-2013 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა/პროექტი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა წარმოდგენილი 2011-2012 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც განხილული და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ 2011 წლის 9 სექტემბერს.

1.2 შეუსაბამობა საათობრივ ბადესა და სკოლის გაკვეთილების ცხრილს შორის, რაც გამოიხატება შემდეგში:

- საათობრივი ბადის მიხედვით სკოლაში ისწავლება: X კლასში 3 უცხო ენა (ინგლისური-2 სთ, გერმანული -2 სთ, რუსული-2 სთ); XI კლასში ემატება ფრანგული -2 სთ და XII კლასში ისწავლება ოთხივე უცხო ენა. გაკვეთილების ცხრილში ცალკე ჩასმულია საგანი - რუსული ენა (საათობრივი ბადის შესაბამისად) და ცალკე უცხო ენა (კვირაში 2 საათი), ამდენად, გაუგებარია, თუ რომელი უცხო ენა, რომელ კლასში, როდის ისწავლება და სკოლა როგორ ახერხებს ამ 2 საათის განმავლობაში, ინგლისური ენის, გერმანული ენის და ფრანგული ენების (მათი ჯამური საათების რაოდენობა შეადგენს 6 საათს) სწავლებას. აღნიშნულით, სკოლა წინააღმდეგობაში მოდის დაწესებულების მისიასთანაც, რომელშიც განსაზღვრულია, რომ სკოლაში უცხო ენების სწავლებას ჯეროვანი ყურადღება ეთმობა. საათების იგივე რაოდენობა ასახული გაკვეთილების ცხრილშიც.

- XI (ბ) კლასის გაკვეთილების ცხრილში, ხუთშაბათ დღეს, IV-V გაკვეთილები, მათემატიკა და ფიზიკა, დაწერილი და შემდეგ ხაზგადასმულია. მის ნაცვლად არაფერია ჩასმული. გაუგებარია ამ დროს მოსწავლეები რით არიან დაკავებული მომდევნო VI (საგზაო ნიშნები) და VII (ხელოვნება) გაკვეთილებამდე. სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრებისას გამოირკვა, რომ გადახაზვა შემთხვევით არის გაკეთებული. შემთხვევითობის გათვალისწინებით გამოდის, რომ მათემატიკის გაკვეთილი კვირაში ტარდება 6 საათი, ნაცვლად საათობრივი ბადით გათვალისწინებული 5 საათისა.

- სასკოლო საათობრივი ბადის პირველ ნაწილში (პირველ გვერდზე) საგანი „ქართული ენა და ლიტერატურა“ გაწერილია, როგორც „მშობლიური ენა“, მეორე ნაწილში (სადაც საგნებისათვის დათმობილი საათების რაოდენობა და შემაჯამებელი დავალებების ჩამონათვალია) და გაკვეთილების ცხრილში კი სწორად არის ჩაწერილი.

- საათობრივი ბადის პირველ ნაწილში XII კლასში დაგეგმილია სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების სწავლება, ხოლო მეორე ვარიანტში - ამოღებულია, მის

სწავლებას არ ითვალისწინებს არც გაკვეთილების ცხრილი.

- საათობრივი ბადის პირველ ნაწილში, ხელნაწერის სახით, ჩამატებულია ჭადრაკის სწავლება X - XI კლასებში, ხოლო მეორე ნაწილში და გაკვეთილების ცხრილში არ არის გათვალისწინებული მისი სწავლება(სპორტი ცალკე საგნად არის შეტანილი).

- საათობრივი ბადის პირველ ნაწილში გათვალისწინებულია ბიოლოგიის სწავლება XI კლასში, ხოლო მეორე ნაწილში მისი სწავლება გათვალისწინებული არ არის.

- საათობრივი ბადის ძირითად, ე.წ. პირველ ნაწილში (X-XII კლასების საათობრივი ბადე) არ არის აღნიშნული არჩევითი საგნები.

- საათობრივი ბადის პირველ ნაწილში XII კლასში ბიოლოგია, ფიზიკა და ქიმია შეტანილია აბიტურის გრაფაში, ხოლო საათობრივი ბადის მეორე ნაწილში პროგრამულის გრაფაში.

- ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურების სახით დაგეგმილია ზოგადი უნარების სწავლება XII კლასში და ჭადრაკის წრე. თუმცა ჭადრაკი, საათობრივი ბადის პირველ ნაწილში ჩამატებულია სავალდებულო სტატუსით, გაკვეთილების ცხრილში ასახული არ არის, ამიტომ გაუგებარია მისი სტატუსი.

1.3 სკოლაში სასწავლო პროცესი, შინაგანაწესის მიხედვით, იწყება 14:00 საათზე და მთავრდება 19:20 წუთზე, ხოლო დირექტორის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული განცხადების (ფურცელი) მიხედვით, რომელიც რამოდენიმე ოთახის კედელზე იყო გამოკრული, სასწავლო პროცესი იწყება 13:10 საათზე და მთავრდება 18:15 წუთზე. გადამოწმდა დირექტორის ბრძანებების წიგნი და მსგავსი შინაარსის ბრძანება ვერ მოიძებნა.

1.4 არ იქნა წარმოდგენილი სასწავლო პროგრამა სპორტში არცერთ კლასში, ამიტომ დაუდგენელია სპორტის რამდენი და რა სახეობების სწავლებას გეგმავს დაწესებულება.

1.5 არ იქნა წარმოდგენილი სასწავლო პროგრამა სამოქალაქო განათლებაში - ისწავლება X კლასში.

1.6 არ იქნა წარმოდგენილი აბიტურის საათის პროგრამები არცერთ საგანში. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკა და ქიმია ისწავლება XII კლასში აბიტურის სახით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ამ საგნების სასწავლო გეგმები მოიცავს სასწავლო მასალას მხოლოდ XII კლასისათვის და არა, ზოგადი კურსის გასამეორებელ თემატიკას, განკუთვნილს აბიტურის საათისათვის.

1.7 ქიმიის, გეოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის საგნობრივი სასწავლო პროგრამებიდან არ ჩანს, თუ რომელი თემის სწავლებას რა დრო აქვს დათმობილი, რომ შესაძლებელი გახდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარების მოსწავლეებში შედეგების მიღწევის შესაძლებლობის დადგენა, თემატიკა არ არის გაწერილი დროში. ამდენად, სასწავლო მასალის ჩამონათვალი სრულია და გათვლილია მთელ სასწავლო წელზე, თუ მის რაიმე მონაკვეთზე, არ ჩანს.

1.8 სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას - ზოგადი უნარების სახით, რომლის სასწავლო პროგრამა არ იქნა წარმოდგენილი და საადმინისტრაციო მომსახურებას - წრეობრივი მუშაობის სახით ჭადრაკში, მაგრამ ჭადრაკი შეტანილია ერთ-ერთ საათობრივ ბადეში სავალდებულო გაკვეთილის სახით, ხოლო გაკვეთილების ცხრილში არ არის შეტანილი, ამიტომ გაუგებარია დაგეგმილია მისი სწავლება, თუ არა და რა სახით, რა სტატუსით. არ არის წარმოდგენილი ჭადრაკის სასწავლო გეგმა.

1.9 დაწესებულების მიერ დადგენილი, წლის და საფეხურის დაძლევის მინიმალური ბარიერი სხვადასხვა დოკუმენტაციაში სხვადასხვაა, კერძოდ, შინაგანაწესის 26-ე მუხლით იგი 5,1-ია, ხოლო სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების პრინციპების მიხედვით 5,0. დადგენილია და შემუშავებულია ამ ბარიერის დაუძლეველობის შემთხვევაში მოსწავლისათვის დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

1.10 სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების პრინციპების ამსახველ დოკუმენტაციაში, ქვეთავში „შეფასება და გაცდენები“ ვკითხულობთ: სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდა სკოლის მიერ ინიშნება საფეხურის დამამთავრებელ კლასებში შემდეგ საგნებში:

- მშობლიური ენა და ლიტერატურა,
- მათემატიკა,
- I უცხო ენა,

მეოთხე საგნად პედ. საბჭოს გადაწყვეტილების შედეგად დადგენილია დისციპლინა (შესაძლებელია პარალელურ კლასებში არჩევანი განსხვავებული იყოს). აღნიშნული ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს (დისციპლინის საგნად არჩევა და მისი შეფასება დაუშვებელია).

2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით

2.1 სპორტული დარბაზის სველი წერტილები განლაგებულია დარბაზის გამოსასვლელში (ეზოში). აღნიშნულ სველ წერტილზე დაწესებულებას არ უდასტურდება მართლზომიერი ფლობის უფლება, თუმცა სს - თბილაბრეშუმ „ცისარტყელასთან“ (მეიჯარე) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სკოლას მინიჭებული აქვს სარგებლობის უფლება.

2.2 გრიფირებული სახელმძღვანელოები გადამოწმდა 2011 წლის 9 სექტემბერს დამტკიცებული 2011-2012 სასწავლო წლის სკოლის მიერ არჩეული სახელმძღვანელოების ჩამონათვალის მიხედვით და დადგინდა:

X კლასი:

- ძირითად სახელმძღვანელოდ ფიზიკაში, ნაცვლად ერთისა, არჩეულია ქ. ტატიშვილისა და ე. ბასიაშვილის სახელმძღვანელოები. ორივე გრიფირებული სახელმძღვანელოა.

XI კლასი:

- ბიბლიოთეკაში არის ჯალაღონია, ჯაშიაშვილის მე-11 კლასის გერმანული ენის სახელმძღვანელო, სილაბუსიც შედგენილია აღნიშნული სახელმძღვანელოს მიხედვით, თუმცა სკოლის მიერ აღნიშნული სახელმძღვანელოს არჩევის დამადასტურებელი დოკუმენტი არ მოიძებნა (წიგნი გრიფირებულია).
- არეულია ისტორიისა და საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის ავტორები და სახელმძღვანელოები, კერძოდ, არჩეულია საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიაში ნ. ასათიანისა და გ. სანიკიძის სახელმძღვანელო (გამომცემლობა შპს - ბაკურ სულაკაური). ბიბლიოთეკაში ამავე საგანში მოიპოვება წიგნი პ. რამიშვილის, ნ. ახმეტელის, დ. სართანასა და გ. ჩხიკვიშვილის ავტორობით (გამომცემლობა შპს - „დიოგენე“), ხოლო აღნიშნული ავტორობით მოიპოვება ისტორიის სახელმძღვანელო.

XII კლასი:

- მე-12 კლასის ფიზიკის სახელმძღვანელოს არჩევის დამადასტურებელი დოკუმენტი არ მოიძებნა.
- მე-12 კლასის ბიოლოგიის სახელმძღვანელოს არჩევის დამადასტურებელი დოკუმენტი არ მოიძებნა.
- სკოლას არჩეული აქვს გეოგრაფიის სახელმძღვანელო ზ. სეფერთელაძის ავტორობით (გამომცემლობა შპს - „ინტელექტი“), რომელიც ბიბლიოთეკაში არ არის.

გადამოწმდა პედ. საბჭოსა და კათედრის ოქმები, აგრეთვე, სასკოლო სასწავლო გეგმა და ვერ დადგინდა სკოლის მიერ ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოების არჩევის ფაქტი.

2.3 სკოლაში მოქმედებს მედდის თანამდებობრივი ინსტრუქცია. ერთ-ერთი უფლებამოსილებაა „ექიმის დანიშნულების მიხედვით ჩაატაროს მკურნალობის კონსერვატიული მეთოდები“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ სკოლაში უნდა იყოს როგორც ექიმი, ასევე მედდა, თუმცა პირადი საქმეების მიხედვით დგინდება, რომ სკოლას ჰყავს მხოლოდ ექიმი.

2.4 სკოლის შინაგანაწესსა და შიდა დოკუმენტაციაში არის შეუსაბამობა. (მაგ.: იხ. 1.2 პუნქტი და 1.3 პუნქტი).

2.5 შემოსული და გასული კორესპონდენცია აღირიცხება ჟურნალებში, რომელიც არ არის ზონარგაყრილი და დანომრილი.

3. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით

3.1 ვერ მოხდა ერთი პედაგოგის კვალიფიკაციის დადგენა, რადგან დიპლომი გაცემულია თინათინ ხულუზაურზე და პირადობაში მითითებულია თინათინ ჭაბაშვილი, ხოლო დოკუმენტი, რომელიც ამ ორი გვარის მქონე ადამიანს ერთ პიროვნებად აფიქსირებს, წარმოდგენილი არ იყო.

3.2 თინათინ ჭაბაშვილის დიპლომის ასლი და დალი მშვიდლობაძის ქორწინების მოწმობა დოკუმენტაციაში წარმოდგენილია უცხო ენაზე და არ არის მათი შესაბამისი, ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

3.3 ყველა ხელშეკრულების მეორე მუხლში, სადაც მითითებულია დამსაქმებელი რა თანამდებობაზე ნიშნავს დასაქმებულს, მითითებულია, ზოგადად, მასწავლებელი, ხოლო მეოთხე მუხლის მეექვსე პუნქტში წერია დაქირავებულის კონკრეტული თანამდებობა. მაგალითად, ხელშეკრულების დასაწყისში მითითებულია მასწავლებლად დანიშვნის ფაქტი, ხოლო კონკრეტულ თანამდებობად - შემდეგ, მაგალითად, ადმინისტრატორი.

დავით კახნიაშვილის განცხადებით, 2012-2013 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ქონის ვალდებულება სკოლას, ამ ეტაპისათვის, არ ჰქონდა, ამდენად, ნამდვილად, 2011-2012 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა შემოწმებულიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

გაკვეთილების ცხრილის საათობრივ ბადესთან შეუსაბამობასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რუსული ენა, კვირაში 2 საათი, ყველა მოსწავლეს უტარდება, ხოლო მეორე უცხო ენად, მოსწავლეები არჩევენ ინგლისურ, ფრანგულსა და გერმანულს შორის.

ექსპერტის, ნელი ნასყიდაშვილის, განცხადებით, საათობრივი ბადიდან ირკვევა, რომ 2 საათში ხდება 6 - საათიანი პროგრამის ჩატევა. თუ საათობრივ ბადეში გრაფა გაწერილი იქნებოდა 3 ნაწილად, მაშინ საკამათოც არაფერი იქნებოდა.

დავით კახნიაშვილის განცხადებით, დაუშვებელია ინგლისური ენის, როგორც ალტერნატიულ ენად შეთავაზება, რადგან იგი სავალდებულო უნდა იყოს ყველა მოსწავლისათვის. მისი განცხადებით, აღნიშნული, ეროვნული სასწავლო გეგმის პირდაპირი დარღვევაა. დაწესებულებას შეუძლია შეთავაზოს და ასწავლო ბევრი ენა, მაგრამ ინგლისური ენა ყველასათვის სავალდებულო უნდა იყოს.

„ქართული ენა და ლიტერატურისა“ და „მშობლიური ენის“ აღრევასთან დაკავშირებით, საბჭომ მიიჩნია, რომ ცალსახა იყო ტერმინოლოგიური ხარვეზი, თუმცა იგი,

არაარსებითად ჩათვალა.

სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების სწავლებასთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგანი, მხოლოდ პირველ სემესტრში ისწავლებოდა.

ექსპერტის, ნელი ნასყიდაშვილის, განცხადებით, წარმოდგენილი იქნა სასკოლო სასწავლო გეგმის ორი ვარიანტი, შესაბამისად, ვერ დადგინდა, თუ რომელ მათგანს უნდა დაყრდნობოდა ექსპერტთა ჯგუფი. ამასთან, დაამატა, რომ საგანი ერთ წელზე იყო გათვლილი, სხვა შემთხვევაში 0.5 საათად უნდა ყოფილიყო გაწერილი.

სპორტის პროგრამებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზაფხულის პერიოდში მასწავლებლებს ჰქონდათ სამუშაოდ წაღებული და დაამატა, რომ აღნიშნული პროგრამები თან ჰქონდა საბჭოს სხდომაზე.

დავით კახიაშვილის განცხადებით, სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული 2012-2013 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, შესაბამისად, ექსპერტებს უნდა ეხელმძღვანელათ 2011-2012 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით. თუ აღნიშნულიც არასრულად იქნა წარდგენილი დოკუმენტაცია, ეს, დაწესებულების მზადყოფნას, განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა, აყენებს ეჭვქვეშ. ამასთან, განაცხადა, რომ საბჭო, ავტორიზაციის დებულების თანახმად, შეზღუდულია ექსპერტთა ვიზიტის დროს არსებული გარემოებებით, შესაბამისად, ვერ მოხდებოდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, რადგან ამის კომპეტენცია საბჭოს წევრებს არ გააჩნდათ და ამასთან, არც იყვნენ უფლებამოსილნი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლაში ყველა სილაბუსი იყო, მხოლოდ, აბიტურის სილაბუსებთან დაკავშირებით იყო პრობლემა.

დავით კახიაშვილის განცხადებით, ცენტრში საავტორიზაციო განაცხადი შემოტანილი იქნა დაწესებულების სურვილის შესაბამისად, ამდენად, სკოლა მზადყოფნაში უნდა ყოფილიყო ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათ გამოასწორეს ხარვეზები და უკვე სპორტის პროგრამებიც და აბიტურის სილაბუსებიც ჰქონდათ.

თავმჯდომარის განცხადებით, საბჭოს სხდომაზე აღნიშნული დოკუმენტების ფლობას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

ბიოლოგიის სწავლებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მშობლების მოთხოვნა იქნა გათვალისწინებული და ფიზიკას, ქიმიასა და ბიოლოგიის სწავლებას დაემატა თითო-თითო საათი.

დავით კახიაშვილის განცხადებით, ხარვეზში მითითებულია, რომ საათობრივი ბადის მეორე ნაწილში მისი სწავლება გათვალისწინებული არ არის, ხოლო დაწესებულების წარმომადგენელი საპირისპიროს ამტკიცებდა.

ექსპერტის, ნელი ნასყიდაშვილის, განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას დანართის სახით ერთვის დაწესებულების დირექტორის ბრძანება, რომელიც ადგენს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფთან საკონტაქტო პიროვნებას. წარმომადგენელი იქნა დოკუმენტაცია და ინფორმაციის დაზუსტება ხდებოდა შესაბამისად პასუხისმგებელ პირთან.

ზოგად უნარებთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ მათემატიკის მასწავლებელი ატარებდა გაკვეთილს.

დავით კახიაშვილის განცხადებით, ზოგადი უნარები წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ საგანს და ცხრილში უნდა ყოფილიყო, რადგან არ შეიძლება მათემატიკის მასწავლებელი მათემატიკის გაკვეთილზე ატარებდეს ზოგადი უნარების გაკვეთილს.

გაკვეთილების დაწყება-დამთავრების დროის ცვალებადობასთან დაკავშირებით,

სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ იგი იცვლება სეზონურად.

თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნული ცვალებადობა დოკუმენტურად უნდა ყოფილიყო გაწერილი.

ქიმიის, გეოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის საგნებთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მასწავლებლებს თავად ჰქონდათ გაწერილი და შესაბამისი გეგმის მიხედვით მუშაობდნენ.

დავით კახნიაშვილის განცხადებით, დაუშვებელია, რომ საგნის სასწავლო პროგრამა არ იყოს გაწერილი.

სამოქალაქო თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი ეთანხმება აღნიშნულ ხარვეზს.

სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, საფეხურის დაძლევის მინიმალური ბარიერის დაწესებაც ხარვეზია, რადგან სკოლას მხოლოდ ერთ საფეხურზე სურდა სწავლების განხორციელება.

1.10 ხარვეზთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იყო შეცდომა, რადგან შინაგანაწესში მსგავსი ჩანაწერი არ არსებობდა.

ექსპერტის, ნელი ნასყიდაშვილის, განცხადებით, აღნიშნული ჩანაწერი არა შინაგანაწესში, არამედ, შეფასების პრინციპებში იყო გაწერილი.

დავით კახნიაშვილმა 2.1 პუნქტში დაფიქსირებული შენიშვნა მოხსნა.

სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ მათ ექსპერტებს ვიზიტის დროს წარუდგინეს ის სახელმძღვანელოებიც, რომლებიც აკლდათ.

ექსპერტის, ნელი ნასყიდაშვილის, განცხადებით, სკოლას ჰქონდა სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, რომლებიც მიიჩნეოდა მათ მიერ არჩეულად, თუმცა როგორც პედაგოგიური საბჭოს, ასევე კათედრების ოქმებიდან არ ირკვეოდა აღნიშნული სახელმძღვანელოების არჩევის ფაქტი. ამასთან, მოსწავლისათვის აუცილებლად, არჩეული უნდა იყოს ერთი სახელმძღვანელო, სკოლას, კი ფიზიკაში 2 სახელმძღვანელო ჰქონდა არჩეული.

დავით კახნიაშვილმა განაცხადა, რომ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით სკოლას ძალიან მნიშვნელოვანი ხარვეზი ჰქონდა. მისი განცხადებით, მოსწავლეები, ხშირად, ერთ სახელმძღვანელოს ვერ ყიდულობენ. თუ პედაგოგს, რომელიმე თემა სხვა სახელმძღვანელოდან სურს მიაწოდოს, ეს მოხდება დამატებითი მასალის სახით.

2.3 ხარვეზი საბჭომ არაარსებითად მიიჩნია.

გასული და შემოსული კორესპონდენციის ჟურნალებთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ მათ სპეციალური წიგნები შეიძინეს და ნამდვილად აღარ დაუნომრიათ იგი, ამდენად, ისინი ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნას დაეთანხმნენ.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებულ შენიშვნებთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ მათ გაიზიარეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები და წარმოადგინეს ნოტარიულად დამოწმებული თარგმნილი დოკუმენტაცია.

შესვენება 20:45 საათზე.

სხდომა განახლდა 21:08 საათზე.

საბჭომ იმსჯელა შპს - ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი -5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 204955708) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

4. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ.

1. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით

1.1 ერთწლიანი გეგმა ცალკე დოკუმენტად არ არის დამტკიცებული, არამედ იგი ინტეგრირებულია გრძელვადიან სტრატეგიულ განვითარების გეგმაში.

დაწესებულების სურვილია, დამატებით, განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარში დაწესებულებას მითითებული ჰქონდა 27 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, თუმცა დაწესებულების 2012 წლის 8 აგვისტოს №01-08/96 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №03-9961) დაწესებულებამ მოითხოვა დამატებით 2 პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა 29 პროფესიული პროგრამა და დასკვნაში შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა რაოდენობის 2000-ით განსაზღვრა, მათ შორის 700 პროფესიულ სტუდენტი.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს, მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, შეეძლო 2000 სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2000 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 220407888) 2012 წლის 6 ნოემბრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება, ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000-ით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 700-ით.

5. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ.

1. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით

1.1 შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი 2011 წლის 02 მაისს შპს „თენ“-თან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე 8 წლის ვადით ფლობს ქ. თბილისში, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №10-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-4 (1600 კვ.მ.), მე-6 (1600 კვ.მ.) და მე-7 (1600 კვ.მ.) სართულებს, საერთო ფართობით - 4800 კვ.მ. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი სასწავლო მიზნებისათვის გეგმავს მხოლოდ აღნიშნული შენობის მე-6 სართულიდან - **1150 კვ.მ.** ფართის გამოყენებას.

ამასთან, დაწესებულება ფიზიკურ პირ - დავით ჯანგულაშვილთან 2012 წლის 25 ივნისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე 10 წლის ვადით ფლობს ქ. თბილისში, ნინოშვილის ქ. №55-ში, შენობა-ნაგებობა №1-იდან **2111 კვ.მ.** ფართს.

აღნიშნულ ფართზე მიმდინარეობას სარემონტო სამუშაოები. დაწესებულებას 2012 წლის 3 ივლისს შპს - „კაპიტალთან“ გაფორმებული აქვს №18 ხელშეკრულება, რომლის თანახმად, სარემონტო სამუშაოების დამთავრების ვადად განსაზღვრულია 2012 წლის 1 ოქტომბერი. აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დაწყების ვადად განსაზღვრულია 2012 წლის 2 ოქტომბერი.

1.2 სასწავლო უნივერსიტეტი ა. პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე არსებული შენობის გათბობის მიზნით იყენებს გამათბობელ საშუალებას, ამასთან, 2012 წლის 11 მაისის წერილით შპს - „თენ“ ადასტურებს, რომ მიმდინარე წელს იგეგმება ა. პოლიტკოვსკაიას ქუჩა №10-ში მდებარე შენობის გაზიფიცირება. იგი უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. 2012 წლის 3 ივლისს შპს - „კაპიტალთან“ გაფორმებული №18 ხელშეკრულების პირობების თანახმად, გათბობის სისტემის აღდგენის ბოლო ვადად განსაზღვრულია 2012 წლის 1 ნოემბერი.

დაწესებულების სურვილია, დამატებით, განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დავით კახიაშვილის განცხადებით, ზემოაღნიშნული, მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებებს წარმოადგენდა და არა ხარვეზებს.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა რაოდენობის 924-ით განსაზღვრა, მათ შორის 150 პროფესიულ სტუდენტი.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს, მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, შეეძლო 924 სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 924 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211356414) 2012-2013 სასწავლო წლის დაწყებიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება, შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 924-ით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

6. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით

1.1 ზოგიერთ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ უცხოენოვანი ლიტერატურა (მაგ. სარესტორნო მომსახურეობა და მენეჯმენტის სილაბუსი).

1.2 ინფორმაციული ტექნოლოგიების სილაბუსში, სასწავლო გეგმის თანახმად, სალექციო/პრაქტიკულისთვის გამოყოფილია 60 საათი, ხოლო სილაბუსში შინაარსის ნაწილში ფიქსირდება-46 საათი, ამავე სილაბუსში-სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ ვებგვერდები.

1.3 დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დაწესებულებამ წარმოადგინა კითხვარი, 2 მათგანი არ მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით

2.1 ვიზიტის დროს, დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 2012 წლის 11 ივლისის მონაცემებით, სადაც ფიქსირდება, რომ მოიჯარე არის სსიპ - "საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი" ს/კ 211325653, ხოლო ფაქტობრივი მონაცემებით დაწესებულების ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა არის არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

რეესტრის მონაცემების მიხედვით, ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. ზე მდებარე ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დაზუსტებული ფართობია 599438.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობების საერთო ფართი შეადგენს 32,585 კვ.მ., გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა იჯარის ხელშეკრულება 2012 წლის 2 აპრილის №12/05/, რის თანახმად 9 თვის ვადით 2012 წლის 31 დეკემბრამდე ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი იჯარით სარგებლობს დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; 2-ზე მდებარე სასწავლო კორპუსებს და დამხმარე შენობა-ნაგებობებს საერთო ფართობით 32 585 კვ.მ.

2.2 დაწესებულების წიგნადი ფონდის შემოწმება ვერ მოხერხდა შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო. გარდა ამისა, ექსპერტთა ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ არ იქნა წარმოდგენილი მზარეულის მე-4 საფეხურის პროფესიული პროგრამის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა. მზარეულის მეოთხე საფეხურის პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, ეს წიგნები არსებობს, მხოლოდ მიმდინარეობს მათი უნივერსიტეტის ბალანსზე აღრიცხვის პროცედურა.

2.3 კოლეჯიალურვილია 15 ხანძარსაწინააღმდეგოდაფით, 30 ცეცხლმაქრით, რომელიცესპერტავიზიტისდროსჩამოხსნილიყოკედლებიდანსარემონტოსამუშაოებთანდააკავშირებით.

2.4 კოლეჯს აქვს დამტკიცებული და გამოსაკრავად გამოზადებული ევაკუაციის გეგმა.

2.5 სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ ყველა სართულზე იგეგმება პანდუსების დამონტაჟება.

3. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით

3.1 მზარეულის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის პუნქტის თანახმად, მასწავლებლების საერთო რაოდენობა შეადენს 13-ს, მათ შორის მაპროფილებელი სასწავლო კურსებისა და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მასწავლებლების რაოდენობა შეადგენს - 9-ს. სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მასწავლებლები პირადი საქმეების მიხედვით, არიან პროფესიონალი მზარეულები და კულინარიის პედაგოგები, მათ შორის ორი უცხოელი მზარეული, თუმცა ბოლო ორ მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულება არ არის გაფორმებული. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათთან ხელშეკრულებები გაფორმდება პროგრამის დაწყებისთანავე, ხოლო დანარჩენებთან, შრომითი ხელშეკრულების ვადა ამოიწურა 2012 წლის პირველ აგვისტოს.

3.2 პროგრამის რამდენიმე მასწავლებელი არის ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, თუმცა მზარეულის პროგრამაზე მოწვევის დამადასტურებელი შრომითი ხელშეკრულება ჯერ გაფორმებული არ არის.

საბჭოს სხდომაზე დაზუსტდა, თუ რატომ ისწავლბა ინფორმაციული ტექნოლოგიები აღნიშნულ პროგრამაზე.

ლალი ღოღელიანის განმარტებით, სტანდარტით გათვალისწინებულია საგანი, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მზარეულის პროფესიისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, საათებთან დაკავშირებით დაშვებული იყო ტექნიკური უზუსტობა, რომელიც გამოსწორებული იქნა.

ლალი ღოღელიანმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რა უშლიდა პროგრამის ხელმძღვანელს ხელს მიეთითებინა ქართულენოვანი ლიტერატურა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, შეიცვალა ლიტერატურა და სავალდებულო ლიტერატურაში მხოლოდ ქართულენოვანი ლიტერატურაა მითითებული.

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, ძირითად შენობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, ხოლო უშუალოდ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება იგეგმება სპეციალურ კორპუსში, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით.

ლალი ღოღელიანის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში დაწესებულებას აქვს ხარვეზები, ხოლო სხვა სტანდარტების ხარვეზები არაარსებობდა უნდა ჩიათვალოს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად არსებულ კითხვარებთან დაკავშირებით

ექსპერტმა განაცხადა, რომ ორი კითხვარი თემატიკის გათვალისწინებით, ძირითადად, ორიენტირებული იყო დამსაქმებელზე, ხოლო ერთი კითხვარი - პროგრამის გაუმჯობესებაზე.

დავით კახიაშვილის განცხადებით, აღნიშნულ დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახალგაზრდების ძალიან კარგი ჯგუფი ედგა სათავეში, ამდენად, საბჭო დარწმუნებული იყო, რომ ისინი შეძლებდნენ ამ დარგში საუკეთესოების სტატუსის მოპოვებას.

ლალი ღოდელიანის განცხადებით, ჯგუფი მოტივირებული იყო და მათ, აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინათ ყველა ის შენიშვნა, რომელიც დაფიქსირებულ იქნა ექსპერტთა ვიზიტის დროს.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისათვის მეოთხე საფეხურის მზარეულის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისათვის მეოთხე საფეხურის მზარეულის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211325653) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	მზარეულის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მეოთხე	მზარეულისმეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60 კრედიტი

7. შპს - ორიენტირისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირდა შემდეგი შენიშვნები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 პროგრამის აღწერილობიდან და სასწავლო გეგმიდან ვერ დგინდება პროგრამის სტრუქტურის თანმიმდევრულობა, კერძოდ: მისათითებელია თითოეული სასწავლო საგნის ხანგრძლივობა კვირებით და საგნებზე დაშვების წინაპირობები (თუ წინაპირობები არ აქვს საგანს, ესეც უნდა იყოს მითითებული). საგანზე დაშვების წინაპირობები არ არის სათანადოდ მითითებული სილაბუსებშიც და ამიტომ არ ჩანს ამ კურსების შესწავლის თანმიმდევრობა. მაგალითად: სასწავლო კურსის „დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა“ შესწავლის წინაპირობაა სამართალმცოდნეობის საფუძვლები. საგანი ასეთი დასახელებით არ არის სასწავლო გეგმაში და არ ჩანს საიდან უნდა ჰქონდეს ამ საგნის სწავლის მსურველს ეს ცოდნა. ასევე არ ჩანს თითოეული საგნის გავლას რამდენი კვირა ეთმობა და რამდენი საათია განკუთვნილი ლექცია-პრაქტიკულებზე კვირაში.

1.2 სილაბუსებში არ არის მითითებული სწავლების მეთოდები. სასწავლო კურსის „ადამიანის ზოგადი ანატომია“ შესწავლის წინაპირობაა ზოოლოგიის, ზოგადი ბიოლოგიის და სხვა საბუნებისმეტყველო საგნების ცოდნა, გარკვეული ინტელექტუალური დონე, კრიტიკული აზროვნების უნარი. სავარაუდოდ ეს ცოდნა და უნარები სტუდენტმა უნდა დაადასტუროს კოლეჯში ჩარიცხვისას, საბაზო განათლების ატესტატის და წინასწარი გასაუბრების საფუძველზე. აღნიშნული ვერ იქნება ამ საგანზე დაშვების წინაპირობა, რადგან ზოოლოგია, ზოგადი ბიოლოგია და სხვა საბუნებისმეტყველო საგნები არ ისწავლება კოლეჯში. ასეთივე პრობლემებია დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით სხვა სილაბუსებშიც: ელემენტარული მათემატიკა, აკადემიური წერა და ა.შ.

1.3 სასწავლო გეგმაში მოცემული საგანის - აკადემიური წერა, შინაარსი და სწავლის შედეგები არ შეესაბამება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს. კერძოდ, მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისთვის არ არის საჭირო სამეცნიერო ნაშრომთა ტიპების, სამეცნიერო ტექსტის აგების და ა.შ. ცოდნა და უნარები. ასეთი მოთხოვნები არ არის პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მესამე საფეხურის მოთხოვნების ადეკვატური.

1.4 საგნის „დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა“ სილაბუსში სწავლების ფორმატს წარმოადგენს მხოლოდ სასწავლო პრაქტიკა, თუმცა სასწავლო კურსის შინაარსის მიხედვით, სტუდენტები ეუფლებიან თეორიულ ცოდნას, რაც აუდიტორიულ სალექციო/პრაქტიკუმის საათებსაც

მოითხოვს, გარდა ამისა სასწავლო პრაქტიკის სილაბუსში არ არის მითითებული თითოეული განხილული თემისათვის განკუთვნილი საათები.

1.5 რიგ სილაბუსებში კონკრეტული განსახილველი თემის მოცულობა და ამ თემის შესწავლისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა არ არის ურთიერთშესაბამისი. მაგ: "სახელმწიფოსა და სამართლის თეორია" საგნის სილაბუსი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი არ ეთანხმება დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებს. კერძოდ, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას გაწერილი აქვს დაშვების წინაპირობა, რაც გულისხმობს მინიმუმალურ ასაკს - 17 წელს და ზოგად განათლებას. ასევე, თუ საგანი ითვალისწინებს წინაპირობის არსებობს, იგი გაწერილია შესაბამის სილაბუსებში. სილაბუსში არ არის შესაბამისი გრაფა და არ მითითება წინაპირობა, თუ საგანი არ ითვალისწინებს წინაპირობის არსებობას. ამასთან, წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ შენიშვნის დაფიქსირების შემდეგ, სილაბუსებში მიეთითა - „არ აქვს წინაპირობა“. რაც შეეხება, შენიშვნას იმასთან დაკავშირებით, რომ არ ჩანს თითოეული საგნის გავლას რამდენი კვირა ეთმობა, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოქმედებს კურაციული მეთოდი და არ ხდება კვირების მიხედვით გაანგარიშება.

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდები გაწერილია პროგრამაში და ამიტომ არ მომხდარა სილაბუსებში მათი მითითება.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგნის გავლის დროს ხდება მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომთა ტიპების გაცნობა/მიმოხილვა, თუმცა პროფესიულ სტუდენტებს არ ევალებათ მათი შედგენა.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდების გაწერა პროგრამაში გულისხმობს, რომ ყველა საგნის სწავლების დროს ერთიდაიგივე მეთოდოლოგია გამოიყენება, რაც არასწორია, ვინაიდან მეთოდი უნდა იყოს კონკრეტული საგნის ადეკვატური. ამასთან, ლალი ღოღელიანმა, მიუთითა 1.3 შენიშვნაზე და განაცხადა, რომ ექსპერტის შენიშვნა სავსებით ლოგიკური და მისაღებია, თუმცა ხარვეზი არაარსებითია, იმის გათვალისწინებით, რომ სტანდარტის მოთხოვნები გაზრდილია და არა შემცირებული.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, სასწავლო კურსის „ადამიანის ზოგადი ანატომია“, წინაპირობებთან დაკავშირებით და დაინტერესდა, თუ რა პრინციპით მოხდა საბუნებისმეტყველო საგნებიდან ზოოლოგიის გამოყოფა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო ტექნიკური ხასიათის ხარვეზი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლების ფარგლებში არ იყო გათვალისწინებული ის საგნები, რომლებსაც დაწესებულება უთითებდა სასწავლო კურსის გავლის წინაპირობად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წინაპირობაში იგულისხმებოდა საბაზო განათლების საფეხურზე მიღებული ცოდნა.

1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგნის „დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა“ სწავლება მიმდინარეობს ძირითადად პრაქტიკული კომპონენტის გამოყენებით და არ არის გათვალისწინებული თეორიული კურსი.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოდელიანმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, იღებდნენ თუ არა საგნის გავლის დროს სტუდენტები თეორიულ ცოდნას. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მასწავლებელი ახდენდა გარკვეული საკითხების თეორიულ ახსნას. საბჭოს წევრმა, ლალი ღოდელიანმა, აღნიშნა, რომ სწორედ ამიტომ სილაბუსში სწავლების ფორმატი არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ სასწავლო პრაქტიკა.

1.5 შენიშვნასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანში - „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია“, ზოგადი ცოდნის მიღება ხდება საგნის - „სამართალმცოდნეობის საფუძვლები“, შესწავლის დროს.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოდელიანმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, იყო თუ არა ზემოაღნიშნული გაწერილი სილაბუსებში. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოცემული ჩანდა პროგრამიდან, თუმცა სილაბუსებში არ იყო ასახული.

საბჭომ იმსჯელა შპს - ორიენტირისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ორიენტირისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - ორიენტირს (საიდენტიფიკაციო კოდი: 200011904) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპი)	მესამე	კრიმინალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

22 საათსა და 02 წუთზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 22 საათსა და 07 წუთზე.

8. შპს - "ილია" - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირდა შემდეგი შენიშვნები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 დაწესებულებას საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისათვის გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სამედიცინო დაწესებულება შპს „კლინიკა-LIFE“-თან. აღნიშნული კლინიკის ვიზუალური დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ აღნიშნული დაწესებულება არის სამშობიარო სახლი, რომელიც სრულად ვერ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

1.2 პროგრამით გათვალისწინებული ყველა სილაბუსები წარმოდგენილია, თუმცა აღინიშნება გარკვეული ხარვეზები:

- სილაბუსებში დაშვების წინაპირობა არ არის, განსაკუთრებით ეს ეხება საწარმოო პრაქტიკის სილაბუსს, რომელიც პროგრამის ხანგრძლივობიდან გამომდინარე (70 კვირა) გათვალისწინებულია სასწავლო კურსებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის შემდეგ.
- სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებში პრაქტიკის შინაარსის ნაწილში პრაქტიკული თემები/აქტივობები გაწერილია მხოლოდ კვირეებად და არ არის აღნიშნული ყოველი თემისათვის/აქტივობისათვის გამოყოფილი საათები, რაც გათვალისწინებულია სასწავლო გეგმითა და სილაბუსით.

1.3 კატალოგში არ არის შესული ინფორმაცია ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, რომლის დამატება სურს დაწესებულებას.

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებისათვის დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სხვა ანალოგიური პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებასთან ამ პროცესის უზრუნველსაყოფად.

2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით

2.1 კოლეჯი აღჭურვილია ერთი ცეცხლმაქრით (შენობა ორ - სართულიანია).

საბჭოს წევრებმა, ლალი ღოღელიანმა და გაიანე სიმონიამ, აღნიშნეს, რომ 1.1 შენიშვნა შეიძლება მოიხსნას, ვინაიდან საწარმოო პრაქტიკის განხორციელების თაობაზე დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა 1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შესაძლებელია შენიშვნა არ ჩიათვალოს არსებითად. მართალია, აღნიშნული არ არის სასურველი, მაგრამ საწარმოო პრაქტიკა შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს სასწავლო კურსებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის შემდეგ.

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა შეფასებას და განაცხადა, რომ თემისათვის/აქტივობისათვის გამოყოფილი საათები მითითებულია პროგრამაში.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შემდეგ შესაბამისი ინფორმაცია შევა კატალოგშიც.

1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გამოსწორებულია ხარვეზი და გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

2.1 შენიშვნასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ მართალია დაწესებულებას გააჩნია ცეცხლმაქრი, მაგრამ უსაფრთხოების მიზნით (იმის გამო, რომ შენობა ორ სართულიანია), დაწესებულებას დამატებით ესაჭიროება ცეცხლმაქრი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი სრულად იზიარებს აღნიშნულ ხარვეზს.

საბჭომ იმსჯელა შპს - "ილია" - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - "ილია" - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - "ილია" - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულებას (საიდენტიფიკაციო კოდი: 238134425) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	ექთნის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	100 კრედიტი

9. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირდა შემდეგი შენიშვნები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 სკოლამ მათემატიკის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის, ინფორმაციული ტექნოლოგიების საგნების საგნობრივი პროგრამები წარმოადგინა ინგლისურ ენაზე. აქედან გამომდინარე, მათი ეროვნულ სასაწვლო გეგმასთან შესაბამისობის ზუსტად დადგენა ვერ მოხერხდა. ამასთანავე, სკოლას არ აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა ეროვნული სასაწვლო გეგმისაგან განსხვავებული პროგრამით სწავლების უფლების მინიჭების შესახებ. სკოლაში ზემოაღნიშნული ტექნიკური საგნები, კერძოდ, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და ინფორმატიკა ისწავლება ინგლისურ ენაზე არაგრიფირებული სახელმძღვანელოებით.

დირექციის განმარტებით, სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული გამოცდილების, სტანდარტებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი სახელმძღვანელოების შემოწმების შესახებ.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 სკოლა, გეგმავს დაწყებითი საფეხურის დამატებას, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლა არ ფლობდა შესაბამისი ასაკობრივი პარამეტრების მქონე ინდივიდუალურ მერხებს.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

3.1 სკოლაში არსებული დოკუმენტაციით ორი პედაგოგის (თამარ ყვინაშვილი, ირმა ფაცაცია) კვალიფიკაცია არ დასტურდება, რადგან პირად საქმეში კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ მოიძებნა, ხოლო ერთ პედაგოგს (ომარ ანტონი სიმმს) არ ჰქონდა კვალიფიკაციის დამადასტურებელი ქართულენოვანი დოკუმენტი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის თანხმობა, რის საფუძველზეც 1.1 შენიშვნა მოიხსნა.

2.1 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება თურქულ ფირმასთან, რომელიც უზრუნველყოფს მერხების ჩამოტანას.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, სრულად იყო თუ არა გადახდილი მერხების ღირებულება და გაწერილი იყო თუ არა მისი მიწოდების ვადები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას სრულად ჰქონდა გადახდილი მერხების საფასური, ხოლო ხელშეკრულების პირობების თანახმად 2012 წლის 9 სექტემბრისთვის მიიღებდა 416 ცალ მერხს.

3.1 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თამარ ყეინიშვილს დამთავრებული აქვს შავი ზღვის უნივერსიტეტი, თუმცა ვერ მოხერხდა მისი დიპლომის წარმოდგენა (ამერიკისმცოდნეობის დიპლომი), დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი ცნობა. რაც შეეხება, ირმა ფაცაცას, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ უკანასკნელს გააჩნდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის დიპლომი.

რაც შეეხება პედაგოგს (ომარ ანტონი სიმს), რომელსაც არ ჰქონდა კვალიფიკაციის დამადასტურებელი ქართულენოვანი დოკუმენტი, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო კემბრიჯის უნივერსიტეტის დიპლომი და სერთიფიკატი, რომლის თანახმად, ამ უკანასკნელს აქვს ინგლისური ენის სწავლების უფლება.

დავით კახნიაშვილმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, იყო თუ არა დაწესებულებაში ინგლისური ენის სხვა მასწავლებელი. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არსებობდნენ ინგლისური ენის სხვა მასწავლებლები, რომელთა ჩანაცვლებაც შესაძლებელი იყო. აღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭომ მოხსნა შენიშვნა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულების სურვილი იყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 700-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას მისი მატერიალური რესურსის (მერხები) გათვალისწინებით შეეძლო 663 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204379369) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 663-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 22:27 საათზე.

დავით კახნიაშვილი
თავმჯდომარე

დ. კახნიაშვილი

გაიანე სიმონია
მდივანი

გ. სიმონია